



საქართველოში ცენტრალური ბანკი
პირველად 1919 წელს დაფუძნდა

ინფლაციის მიმოსილვა

2009

საქართველოს
ეროვნული ბანკი

1234

საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა

2009 წ. IV კვარტალი

თბილისი

სარჩევი

შესავალი	4
1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	6
2. ინფლაციის ფაქტორები	9
2.1. შრომის ბაზარი	9
2.2. მონეტარული აგრეგატები	11
2.2.1. ფართო ფული	12
2.3. მონეტარული ინსტრუმენტები	13
2.4. ბანკთაშორისი ბაზარი	14
2.5. საბანკო სექტორი	15
ჩანართი1. საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენება	18
2.6. გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები	20
2.7. გამოშვება და მოთხოვნა	23
2.7.1. კერძო და სახელმწიფო მოხმარება	24
2.7.2. ინვესტიციები	24
2.7.3. მშპ-ის 2008 წლის კვარტალის შეფასება და მომდევნო პერიოდის პროგნოზი.....	25
2.8. საგარეო ვაჭრობა	25
2.9. სამთავრობო ოპერაციები	27
ჩანართი2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.....	29
3. ინფლაციის პროგნოზი	31
4. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება	33

შესავალი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2009 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 3.0 პროცენტი შეადგინა. საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2009 წლის მეოთხე კვარტალში 1.7 პროცენტი შეადგინა. ასევე შემცირდა წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები და -1.9 და -2.3 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისთვის.

ადგილობრივი საქონლის ფასების წლიური ინფლაცია დეკემბერში 1.7 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულ საქონელზე -3.7 პროცენტს შეადგენს. იმპორტირებულ საქონელზე ფასების კლება კვლავ საერთაშორისო ბაზრებზე ფასების კლებით აიხსნება. მნიშვნელოვნად არის გაძვირებული (15.1 პროცენტი) შერეული წარმოების საქონელი, ძირითადად იმ საკვები პროდუქტების ხარჯზე, რომელთა იმპორტირებაც ხდება და ქვეყნის შიგნითაც იწარმოება.

ინფლაციაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების დინამიკა მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება აღინეროს: საანგარიშო პერიოდში მუშახელზე მოთხოვნის კლების ზეგავლენით კვლავ შემცირდა საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტემპი, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება პერსონალური დანახარჯების ზრდის ტემპზე. 2009 წლის მესამე კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 568.1 ლარი შეადგინა, რაც 2008 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მხოლოდ 1.6 პროცენტთან ზრდას წარმოადგენს.

2009 წლის მეოთხე კვარტალში 3.1 პროცენტით გაიზარდა სარეზერვო ფულის მაჩვენებელი და 1743.9 მილიონი ლარი შეადგინა. სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ 21.8 პროცენტი შეადგინა. საანგარიშგებო პერიოდში ასევე 172.4 მილიონით

გაიზარდა მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული და 1457.9 მილიონ ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 219.1 მილიონი ლარით გაიზარდა ფართო ფულის M2-ის მაჩვენებელი, ხოლო ფართო ფული M3-ის აგრეგატი 510.8 მილიონი ლარით გაიზარდა. დეკემბრის ბოლოსთვის ფართო ფულის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად 2,132.6 და 4,602.7 მილიონი ლარი შეადგინა.

2009 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენებას საბანკო სექტორის ლიკვიდობის მართვისა და დაკრედიტების ზრდის ხელშეწყობის მიზნით. მეოთხე კვარტალში გამოიკეთა საბანკო სექტორში არსებული ჭარბი ლიკვიდობის შემცირების ტენდენცია. ამ პერიოდში კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებულმა საშუალო ნაშთმა 375.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 12.5 პროცენტთან კლებას წარმოადგენს წინა კვარტალის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. დეკემბრის ბოლოსთვის ლიკვიდობის წმინდა ამოღებამ სარეზერვო ფულის 10 პროცენტი ანუ 174.1 მილიონი ლარი შეადგინა. სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი მეოთხე კვარტალის ბოლოსთვის 5 პროცენტს უტოლდება, თუმცა საანგარიშგებო პერიოდში პრაქტიკულად არ ყოფილა მოთხოვნა რეფინანსირების შესახებ, რაც კომერციული ბანკებში არსებული ჭარბი ლიკვიდობით აიხსნება.

საანგარიშგებო პერიოდში 12.5 პროცენტით გაიზარდა საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა და 3373.3 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ზრდამ 10.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტებისა - 12.8 პროცენტი. ამავე პერიოდში 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 73.2 პროცენტს

გაუტოლდა. მეოთხე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა შემცირდა 0.6 პროცენტით და 5255.6 მილიონი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია რომ, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა 2.1 პროცენტით, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა შემცირდა 1.9 პროცენტით. საანგარიშგებო პერიოდში 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე და 9.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ანალოგიური განაკვეთი სესხებზე 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 20.8 პროცენტი შეადგინა. 2009 წლის მეოთხე კვარტალში კვლავ დაფიქსირდა საბანკო სექტორის შემოსავლიანობის უარყოფითი მაჩვენებლები.

2009 წლის მეოთხე კვარტალში ლარის როგორც ნომინალური ისე რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.1 პროცენტით გამყარდა. 2009 წლის მესამე კვარტალში შესაბამისად 50 და 66 პროცენტით შემცირდა სავაჭრო ბალანსისა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტები. 2009 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 59 პროცენტით შემცირდა და 510 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2009 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით ნომინალური მშპ-ს კლებამ 3.6 პროცენტი შეადგინა 2008 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო რეალური მშპ 1.2 პროცენტით შემცირდა. 2009 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს კლების დონე 0.5–0.7 პროცენტზე არის შეფასებული, ხოლო მთლიანად 2009 წლის რეალური ზრდის პროგნოზი -4.3 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის სხვადასხვა პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 3–დან 4.5 პროცენტამდე იქნება, ხოლო წლის ბოლოსათვის 6 პროცენტის ფარგლებში

ბში შენარჩუნდება, შედარებით დაბალი ინფლაციის მაღალი ალბათობით.

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2009 წლის მეოთხე კვარტალში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 2.3 პროცენტით გაიზარდა. წინა – 2008 წლის მეოთხე კვარტალში სამომხმარებლო ფასები 0.3 პროცენტით იყო შემცირებული. შესაბამისად, 2009 წლის დეკემბერში წლიური ინფლაცია წინა კვარტალში დაფიქსირებული 0.4 პროცენტიდან 3.0 პროცენტამდე გაიზარდა.

საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2009 წლის მეოთხე კვარტალში 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.7 პროცენტს მიაღწია.

კვარტალის ინფლაციაზე ძირითადი გავლენა მოახდინა სურსათზე ფასების სეზონურმა ზრდამ. კონკრეტულად, ფასები გაზრდილია ხილ-ბოსტნეულზე, რძის ნაწარმზე, შაქარზე და საკონდიტრო ნაწარმზე. ხოლო მცირედი მაკომპენსირებელი ეფექტი იქონია ხორცზე და ხორცპროდუქტებზე, ასევე ზეთსა და ცხიმზე ფასების კლებაზე.


საბოლოო ჯამში მეოთხე კვარტალში სამომხმარებლო კალათის ფასები 2.3 პროცენტით გაიზარდა.

მეოთხე კვარტალში შემცირება დაფიქსირდა საბაზო ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვითაც. წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები -1.9 და -2.3 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2009 წლის დეკემბერში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათის ფასები 3.0 პროცენტით გაიზარდა. ფასის 47.9 პროცენტის ზრდა დაფიქსირებული განათლებაზე. 6.4 პროცენტით მოიმატა ფასების დონემ ტრანსპორტზე. სასაქონლო ჯგუფზე „სასტუმროები, კაფეები და რესტორნები“ და „სურსათი და უალკოჰოლო სასმელები“ ფასების საშუალო დონე 4.2 და 3.8 პროცენტით არის მომატებული. ფასები გაზრდილია ასევე შემდეგ კატეგორიებზე „ჯანმრთელობის დაცვა“ (2.3 პროცენტით), „კავშირგაბმულობა“ (1.7 პროცენტით), „ალკოჰოლიანი სასმელები და თამბაქო“ (1.0 პროცენტით) და „დასვენება, გართობა და კულტურა“ (0.6 პროცენტით). ფასების კლება შეინიშნება კატეგორიებზე „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“ (9.7 პროცენტული პუნქტი), „საცხო-


ბრაზიკი 1.1

წლიური ინფლაციის მაჩვენებლის ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



ბრაზიკი 1.2

წლიური ინფლაცია საქონლის წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით



ვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ (4.8 პროცენტული პუნქტი), „ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება“ (3.9 პროცენტული პუნქტი) და „სხვადასხვა საქონელი და მომსახურება“ (1.5 პროცენტული პუნქტი).


დეკემბრის თვეში იმპორტირებულ საქონელზე წლიური ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა და -3.7 პროცენტი შეადგინა. იმპორტირებულ საქონელზე ფასების შემცირება საერთაშორისო ბაზრებზე ფასების კლების შედეგია. თუმცა ბოლო ხუთი თვის მანძილზე აღინიშნება დეფლაციის კლების ტენდენცია. ადგილობრივი საქონლის ინფლაცია 1.6 პროცენტს შეადგენს. მნიშვნელოვნად არის გაძვირებული (15.1 პროცენტი) შერეული წარმოების საქონელი, ძირითადად იმ საკვები პროდუქტების ხარჯზე, რომელთა იმპორტირებაც ხდება და ქვეყნის შიგნითაც ინარმოება. საინტერესოა აგრეთვე სავაჭრო¹ და არასავაჭრო საქონლის ფასების დინამიკაზე დაკვირვება. დეკემბრის თვეში არასავაჭრო საქონელზე ფასების ინფლაციამ 1.7 პროცენტი, ხოლო სავაჭრო საქონელზე 3.9 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონელს შორის. ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის წლიური ინფლაცია შეადგენს 3.2 პროცენტს, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი -7.4 პროცენტია, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონლისთვის აღნიშნული მონაცემი -5.2 პროცენტს გაუტოლდა. მომსახურებაზე ფასები 5.5 პროცენტით გაიზარდა.

2006 წლის დეკემბრიდან 2009 წლის დეკემბრამდე ხანმოკლე მოხმარების საქონლის ფასები 21.8 პროცენტით, ხოლო იმავე პერიოდში მომსახურებაზე ფასები 28.5 პროცენტით გაიზარდა. რაც


გრაფიკი 1.3

სავაჭრო და არასავაჭრო საქონლის ინფლაცია




გრაფიკი 1.4

წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (2006 წლის დეკემბრიდან მოქმედი სამომხმარებლო კალათის 282 კომპონენტის მიხედვით)²



გრაფიკი 1.5

ფასების ზრდა 2008 წლის დეკემბერთან შედარებით



1 საქონელი და მომსახურება, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელია წარმოების ადგილიდან მოშორებით.

2 * ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

** ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

ცხრილი 1.1

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).

	2006 წლის დეკემბრის წონები	დეკ-09/სექ-09		დეკ-09/დეკ-08		იან08-დეკ09 / იან07-დეკ08	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.1%	-0.1%	3.0%	3.0%	1.7%	1.7%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	44.3%	-0.2%	-0.1%	3.8%	1.7%	1.5%	0.7%
სურსათი	43.0%	-0.2%	-0.1%	3.9%	1.7%	1.4%	0.6%
პური და პურპროდუქტები	12.2%	-0.2%	0.0%	-7.7%	-1.1%	-5.2%	-0.7%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.6%	-1.0%	-0.1%	-2.1%	-0.1%	2.0%	0.1%
თევზი	1.1%	2.1%	0.0%	-13.3%	-0.1%	-4.3%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	5.2%	1.5%	0.1%	-6.2%	-0.3%	-7.4%	-0.3%
ზეთი და ცხიმი	3.5%	0.7%	0.0%	-18.9%	-0.8%	-16.6%	-0.7%
ხილი, ყურძენი	2.3%	-1.8%	-0.1%	56.7%	2.8%	55.5%	2.5%
ბოსტნეული, ბალჭეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	8.8%	0.8%	0.1%	12.2%	0.7%	-4.5%	-0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჟინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.7%	0.7%	0.0%	30.1%	0.7%	17.2%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	1.4%	0.0%	1.2%	0.0%	3.9%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	-0.8%	0.0%	-1.2%	0.0%	6.0%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	3.7%	0.7%	0.0%	1.0%	0.0%	0.1%	0.0%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	5.0%	-0.4%	0.0%	-9.7%	-0.4%	-5.9%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	10.3%	-0.1%	0.0%	-4.8%	-0.5%	-3.7%	-0.4%
ავიჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.7%	-0.5%	0.0%	-3.9%	-0.1%	1.1%	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	8.0%	-0.3%	0.0%	2.3%	0.2%	11.8%	1.0%
ტრანსპორტი	9.0%	-0.4%	0.0%	6.4%	0.6%	-4.3%	-0.4%
კაფშირგამულობა	4.4%	0.0%	0.0%	1.7%	0.1%	3.1%	0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	2.7%	0.0%	0.0%	0.6%	0.0%	1.2%	0.0%
განათლება	3.5%	0.0%	0.0%	47.9%	1.5%	17.5%	0.5%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.4%	0.5%	0.0%	4.2%	0.1%	7.2%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.2%	-0.1%	0.0%	-1.5%	0.0%	5.6%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	68.0%	-0.2%	-0.1%	3.2%	2.2%	1.6%	1.1%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	6.5%	-0.3%	0.0%	-7.4%	-0.4%	-4.5%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	1.9%	0.1%	0.0%	-5.2%	-0.1%	-2.9%	0.0%
მომსახურება	23.6%	0.0%	0.0%	5.5%	1.4%	3.9%	1.0%

შეეხება საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ფასებს, მათზე 2006 წლის დეკემბრიდან 2009 წლის დეკემბრამდე ფასების 12.1 და 5.5 პროცენტის შემცირება დაფიქსირებული.

2. ინფლაციის ფაქტორები

2.1. შრომის ბაზარი

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა საკმაოდ მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი მოახდინა მოთხოვნაზე შრომით ბაზარზე. შენელებული ეკონომიკური აქტივობის ფონზე, ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობის რეალური ზრდა შემცირდა და 2008 წლის III კვარტლიდან მოყოლებული უარყოფითი გახდა. ასევე შემცირდა საშუალო ხელფასის დონის მატება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად დაიკლო პერსონალური დანახარჯების ზრდის ტემპებმა.

2009 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებითი ღირებულების რეალურმა კლებამ 5.1 პროცენტი შეადგინა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემცირების ტემპი მნიშვნელოვნად არის შენელებული; მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარისა და კომერციული საქმიანობის“ (38.0 პროცენტი), „განათლების“ (18.7 პროცენტი), „ვაჭრობის“ (9.0 პროცენტი), „სოფლის მეურნეობის“ (8.7 პროცენტი) და „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის“ (5.2 პროცენტი) სექტორებში. შედარებით მცირე კლება იყო „სახელმწიფო მართვა და თავდაცვის“ (4.2 პროცენტი) და „მრეწველობის“ (2.9 პროცენტი) სფეროებში. ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებითი ღირებულების საერთო კლების ტენდენციის მიუხედავად, 2009 წლის III კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის რამდენიმე სექტორში; კერძოდ, „მშენებლობის“ (30.0 პროცენტი), „საფინანსო შუამავლობის“ (19.6 პროცენტი), „ჯანდაცვის“ (9.6 პროცენტი) და „სასტუმროების და რესტორნების“ (6.8 პროცენტი) სფეროებში.

მუშახელზე მოთხოვნის კლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტემპის შენეებისა. 2009 წლის III კვარტალში, დაქირავებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა ოფიციალურ ეკონომიკაში შეადგინა 568.1 ლარი³, რაც 1.6 პროცენტით აღემატება 2008 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში, ეკონომიკის რამდენიმე დარგში დაფიქსირდა დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასის კლება. სექტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შემცირების განსაკუთრებით მაღალი ტემპით გამოირჩეოდა „სამთომოპოვებითი მრეწველობის“ და „დამამუშავებელი მრეწველობის“ სფეროები, სადაც 2009 წლის III კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასები დაახლოებით 21.9 და 10.5 პროცენტით შემცირდა. დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასების შედარებით მცირე კლებით გამოირჩეოდა „სოფლის მეურნეობის“ (6.3 პროცენტი) სფერო. წინა კვარტლების ტენდენცია, როდესაც მიმდინარეობდა ხელფასების მატება იმ სექტორებში,

ცხრილი 2.1.1

2009 წლის III კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულება 2008 წლის III კვარტალთან შედარებით (პროცენტი).

	რეალური დამატებითი ღირებულება
სოფლის მეურნეობა	91.3
მრეწველობა	97.1
მშენებლობა	130.4
ვაჭრობა	91.1
სასტუმროები და რესტორნები	106.8
ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	94.8
საფინანსო შუამავლობა	119.6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	62.0
სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა	95.8
განათლება	81.3
ჯანდაცვა	109.6
სულ	94.9

3 წყარო: სანარმო და შრომის მიმდინარე სტატისტიკის დაკვირვების მონაცემები.

რომელთა სოლიდური დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება, საანგარიშო პერიოდში შეიცვალა; დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა მხოლოდ „ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების“ სექტორში (6.8 პროცენტი), ხოლო „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვეის“ და „განათლების“ სფერო-

ში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხელფასებმა შესაბამისად, 5.2 და 2.8 პროცენტით მოიკლო. ეკონომიკის დანარჩენ სექტორებში დაფიქსირდა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „თევზჭერა, მეთევზეობასა“ და „მშენებლობაში“ (40.1 და 14.0 პროცენტი შესაბამისად). შედარებით მცირე ზრდა იყო „ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილების“ (6.4 პროცენტი), „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განვეის“ (5.0 პროცენტი), „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის“ (4.2 პროცენტი), „სასტუმროები და რესტორნების“ (3.1 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (2.4 პროცენტი), „ვაჭრობის“ (1.3 პროცენტი) და „საფინანსო საქმიანობის“ (0.2 პროცენტი) სექტორებში დასაქმებულთა საშუალო თვიურ ხელფასებში.


ცხრილი 2.1.2

2009 წლის III კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2008 წლის III კვარტალთან შედარებით (პროცენტი).

	ნომინალური ხელფასი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	93.7
თევზჭერა, მეთევზეობა	140.1
სამთომომპოვებითი მრეწველობა	78.1
დამამუშავებელი მრეწველობა	89.5
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	106.4
მშენებლობა	
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მომხმარებლის საგნების რემონტი	114.0
სასტუმროები და რესტორნები	101.3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	103.1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	104.2
საფინანსო საქმიანობა	100.2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განვეა	105.0
სახელმწიფო მმართველობა	102.4
განათლება	97.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	106.8
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვეა	94.8
სულ	101.6

ბრაზიკი 2.1.1

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობათა სახეების მიხედვით 2009 წლის III კვარტალში



2009 წლის III კვარტალში შენარჩუნებულ იქნა მნიშვნელოვანი განსხვავებები საშუალო ხელფასის დონებს შორის საქმიანობათა სახეების მიხედვით. ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი კვლავ დაფიქსირდა „საფინანსო საქმიანობასა“ (1247.9 ლარი) და „სახელმწიფო მმართველობაში“ (874.3 ლარი), რაც მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის დონეს შესაბამისად 2.2 და 1.5-ჯერ აჭარბებს. ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი აღინიშნა „თევზჭერა, მეთევზეობის“ (232.9 ლარი) და „განათლების“ (260.2 ლარი) სფეროებში დაქირავებით დასაქმებულთა შორის და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის 45.8 და 41.0 პროცენტი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ ხელფასებს შორის საანგარიშო კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.0 პროცენტით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 9.9 პროცენტით შემცირდა.

ამრიგად, შრომის პროდუქტიულობის შემცირებამ და ხელფასების ზრდის ტემპის კლებამ გამოიწვია პერსონალური დანახარჯების ზრდის ტემპის მკვეთრი დაცემა. 2009 წლის III კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პერსონალური დანახარჯების ზრდამ 7.0 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც, ანალოგიური მაჩვენებელი 2008 წლის III კვარტალში 55.9 პროცენტი იყო. პერსონალური დანახარჯების ზრდის ტემპის კლება და დაბალი დონე, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკაში ბოლო პერიოდის განმავლობაში სტაბილურად დაბალი ინფლაციის დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.


2.2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები. 2009 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 53,3 მლნ ლარით (3,1 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს 1743,9 მლნ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, მიმდინარე წლის მესამე კვარტალთან შედარებით, მონეტარული ბაზა 19,3 მლნ ლარით (1,1 პროცენტით) შემცირდა. წინა წლის ბოლოსთან შედარებით კი სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ 21,8 პროცენტი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებდა სავალუტო აუქციონების მექანიზმს, რომელიც ამ პერიოდში სავალუტო ბაზარზე ჩამოყალიბებული კონიუნქტურის შესაბამისად, მხოლოდ სავალუტო გაყიდვების მიმართულებით ხორცილდებოდა. სავალუტო აუქციონების მეშვეობით სებ-მა 15,0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა (დაახლოებით, 25,2 მლნ ლარის ეკვივალენტი). საანგარიშო პერიოდში შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 163,5 მლნ აშშ დოლარი (დაახლოებით, 274,6 მლნ ლარის ეკვივალენტი) შეადგინა. უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებულმა აღნიშნულმა ოპერაციებმა წმინდა


ბრაზიკი 2.1.2

ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულება, დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასი და პერსონალური დანახარჯები (წლიური პროცენტული ცვლილება)



ბრაზიკი 2.2.1

ფასების ზრდა 2008 წლის დეკემბერთან შედარებით



უცხოური აქტივები გაზარდა დაახლოებით 249,4 მლნ აშშ დოლარით.

მეოთხე კვარტალში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 262,4 მლნ ლარით გაიზარდა და დეკემბრის თვის ბოლო მონაცემის მიხედვით, მისმა მოცულობამ 585,2 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის ხელშეწყობის მიზნით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას აგრძელებდა. მეოთხე კვარტალში განთავსდა 225,0 მლნ ლარის ნომინალუ-

ცხრილი 2.2.1

სარეზერვო ფულის დინამიკა
(2009 წ., იანვარი-2009 წ., დეკემბერი, თვის ბოლო მონაცემებით)
(ათასი ლარი)

	იან-09	თებ-09	მარ-09	აპრ-09	მაი-09	ივნ-09	ივლ-09	აგვ-09	სექ-09	ოქტ-09	ნოე-09	დეკ-09
სარეზერვო ფული	1,314,986	1,273,230	1,266,759	1,433,225	1,492,199	1,528,724	1,751,524	1,730,491	1,690,665	1,722,205	1,659,013	1,743,917
ფული მიმოქცევაში	1,165,976	1,140,243	1,141,167	1,198,714	1,180,359	1,201,168	1,245,729	1,295,874	1,285,586	1,303,035	1,315,117	1,457,938
ბანკების დეპოზიტები	149,010	132,987	125,592	234,511	311,840	327,556	505,795	434,617	405,078	419,170	343,896	285,979
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	149,010	132,987	125,592	234,511	311,840	327,556	505,795	434,617	405,078	419,170	343,896	285,979

ცხრილი 2.2.2

სარეზერვო ფულის დინამიკა
(2009 წ., იანვარი-2009 წ., დეკემბერი, თვის საშუალო მონაცემებით)
(ათასი ლარი)

	იან-09	თებ-09	მარ-09	აპრ-09	მაი-09	ივნ-09	ივლ-09	აგვ-09	სექ-09	ოქტ-09	ნოე-09	დეკ-09
სარეზერვო ფული	1,314,986	1,273,230	1,266,759	1,433,225	1,492,199	1,528,724	1,751,524	1,730,491	1,690,665	1,722,205	1,659,013	1,743,917
ფული მიმოქცევაში	1,165,976	1,140,243	1,141,167	1,198,714	1,180,359	1,201,168	1,245,729	1,295,874	1,285,586	1,303,035	1,315,117	1,457,938
ბანკების დეპოზიტები	149,010	132,987	125,592	234,511	311,840	327,556	505,795	434,617	405,078	419,170	343,896	285,979
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	149,010	132,987	125,592	234,511	311,840	327,556	505,795	434,617	405,078	419,170	343,896	285,979

რი ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, ხოლო დაიფარა 152,0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები. 2009 წლის სექტემბრის ბოლოსათვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა 146,1 მლნ ლარიდან დეკემბრის ბოლოსთვის 219,1 მლნ ლარამდე გაიზარდა.

ამ ოპერაციების შედეგად, 2009 წლის მეოთხე კვარტალში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 72,9 მლნ ლარით შემცირდა და 174,1 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში სარეზერვო

ფულის მაჩვენებელი 53,3 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, კომერციული ბანკების საქართველოს ეროვნულ ბანკში ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები 119,1 მლნ ლარით შემცირდა და 286,0 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდისათვის, 172,4 მლნ ლარით გაფართოვდა მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული და მისმა მოცულობამ 1457,9 მლნ ლარი შეადგინა.

2.2.1. ფართო ფული

2009 წლის მეოთხე კვარტალში ფართო ფული M3-ის აგრეგატი 510,8 მლნ ლარით გაიზარდა და 4602,7 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უცხოური

ცხრილი 2.2.1.1

ფულადი აგრეგატების ყოველთვიური ცვლილება
(2009 წ., იანვარი-2009 წ., დეკემბერი, თვის ბოლო მონაცემებით)
(ათასი ლარი)

	იან-09	თებ-09	მარ-09	აპრ-09	მაი-09	ივნ-09	ივლ-09	აგვ-09	სექ-09	ოქტ-09	ნოე-09	დეკ-09
ფართო ფული /M3/	3,993,585	3,870,699	3,674,850	3,487,608	3,519,203	3,594,347	3,746,882	3,960,264	4,091,916	4,231,243	4,205,215	4,602,749
ფულადი მასა /M2/	1,707,794	1,631,696	1,633,590	1,672,904	1,663,771	1,708,962	1,780,361	1,832,843	1,913,512	1,954,537	1,992,716	2,132,621
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	991,498	961,048	960,173	1,005,005	1,004,352	1,020,409	1,075,848	1,083,575	1,093,340	1,110,999	1,100,696	1,229,436
ლარები მიმოქცევაში	1,165,976	1,140,243	1,141,167	1,198,714	1,180,359	1,201,168	1,245,729	1,295,874	1,285,586	1,303,035	1,315,117	1,457,938
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	716,296	670,648	673,417	667,899	659,419	688,553	704,513	749,268	820,172	843,538	892,021	903,185
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	2,285,791	2,239,003	2,041,260	1,814,705	1,855,431	1,885,385	1,966,521	2,127,421	2,178,403	2,276,706	2,212,499	2,470,128

ვალუტით დეპოზიტები 291,7 მლნ ლარით (13,4 პროცენტი) გაიზარდა და დეკემბრის ბოლოს 2470,1 მლნ ლარი შეადგინა. 83,0 მლნ ლარით (10,1 პროცენტით) გაიზარდა ეროვნული ვალუტით დეპოზიტები და პერიოდის ბოლოს 903,2 მლნ ლარს გაუტოლდა.

ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში 11,5 პროცენტით (219,1 მლნ ლარი) გაიზარდა, რაზეც უმთავრესი გავლენა მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის 172,4 მლნ ლარით ზრდამ მოახდინა.

დეკემბრის ბოლოსთვის ფართო ფული M3-ის მაჩვენებლის წლიურმა ზრდამ 8,1 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფართო ფული M2-ის მაჩვენებლის წლიურმა ზრდამ კი 15,0 პროცენტი შეადგინა.

2.3. მონეტარული ინსტრუმენტები


2009 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავ აქტიურად იყენებდა მონეტარულ ინსტრუმენტებს კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვისა და საბანკო სექტორის გაჯანსაღებისათვის.

საანგარიშო პერიოდში საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული ნაშთები კვლავ მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალოდ დასაცავ ნაშთს; თუმცა, წინა პერიოდებთან შედარებით, კლების ტენდენცია შეინიშნებოდა; მაქსიმუმს – 456.027 მილიონ ლარს ოქტომბრის ბოლოს მიაღწია, ხოლო მინიმუმს – 276.767 მილიონ ლარს დეკემბრის ბოლოს გაუტოლდა; საშუალოდ პერიოდისთვის, მისი მნიშვნელობა წინა კვარტალის იმავე მაჩვენებელზე 12.5 პროცენტით ნაკლები იყო და 375.127 მილიონი შეადგინა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად სისტემაში კვლავ არსებული ჭარბი ლიკვიდობისა, უკვე იკვეთება მისი შემცირების ტენდენცია.

რაც შეეხება ლიკვიდობის კოეფიციენტს, ოქტომბერში მაქსიმალურ მნიშვნელობას (41,6 პროცენტი) მიაღწია 2008–2009 წლების პერიოდისათვის და ლიკვიდური აქტივების შემცირების გამო წლის ბოლოს შემცირდა და დეკემბერში საშუალოდ 39,1 პროცენტი შეადგინა.


ბრაზიკი 2.2.1.1

ფართო ფულის აგრეგატების დინამიკა




ბრაზიკი 2.3.1

ბანკების ლარის საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული ნაშთი და საშუალოდ დასაცავი ნაშთი




ბრაზიკი 2.3.2


ლიკვიდური აქტივების ვალდებულებების, ლიკვიდობის კოეფიციენტისა და ლიკვიდობის მოთხოვნის დინამიკა




ბრაზიკი 2.3.3
სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის დინამიკა



ბრაზიკი 2.3.4
საბანკო სისტემებიდან სებ-ის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატებით ლიკვიდობის ამოღება, კომერციული ბანკებისთვის სესხების გაცემა და ლიკვიდობის წმინდა მინოდება (მილიონი ლარი)



ბრაზიკი 2.3.5
წმინდა მინოდების (ამოღება) ფარდობა სარეზერვო ფულთან (%)



საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემის ლიკვიდობის სამართავად კვლავ იყენებდა სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელიც წარმოადგენს როგორც გრძელვადიანი ქარბი ლიკვიდობის საბანკო სისტემიდან ამოღების ინსტრუმენტს, ასევე ურისკო აქტივს და ამით ხელს უწყობს ლარის ფულადი ბაზრის განვითარებას. ქარბი ლიკვიდობა ხელს უშლის მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის მუშაობას, გარდა ამისა საკორესპოდენტო ანგარიშზე ქარბი ლარების არსებობამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაცვლით კურსზე არასასურველი წნეხი შექმნას. ამიტომ ეროვნული ბანკი ცდილობს სადეპოზიტო სერტიფიკატებით ბანკებს მოაშოროს ქარბი ლიკვიდობა, თან ისე, რომ კონკურენცია არ გაუჩინოს ეკონომიკაზე გაცემულ კრედიტს. სადეპოზიტო სერტიფიკატებზე დაწესებული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 3,44 პროცენტიდან 3,06 პროცენტამდე ინტერვალში იცვლებოდა. მთლიანად, მეოთხე კვარტალში განთავსდა 225 მილიონი ლარი, რაც წინა პერიოდთან შედარებით 53 პროცენტითაა გაზრდილი. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 3.15 პროცენტი შეადგინა, რაც ნაკლებია წინა პერიოდის მაჩვენებელზე (3.95 პროცენტი). საპროცენტო განაკვეთის კლება, კომერციული ბანკების მხრიდან სადეპოზიტო სერტიფიკატებზე მოთხოვნის ზრდის მაჩვენებელია. ადრინდელი ეკონომიკური უარყოფითი შოკების გამო, კომერციულ ბანკებს კვლავ ურისკო აქტივის შექმნა ურჩევნიათ.

ლიკვიდობის წმინდა ამოღების სარეზერვო ფულთან ფარდობა კვლავ გაიზარდა და გასული წლის 31 დეკემბრისათვის, ლიკვიდობის წმინდა ამოღებამ 174,1 მილიონ ლარს მიაღწია, რაც სარეზერვო ფულის 10 პროცენტია; 2009 წლის მესამე კვარტლის ბოლოსათვის კი იგი მხოლოდ 5,9 პროცენტი იყო და 101,11 ლარს შეადგენდა.

2.4. ბანკთაშორისი ბაზარი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარზე ეროვნული ვალუტით გაცემულ-

ლი სესხების ოდენობამ 28.3 პროცენტით დაიკლო და 455,6 მილიონ ლარს გაუტოლდა; მსგავსი კლება იყო (22,01 პროცენტი) აშშ დოლარში გაცემული სესხების ოდენობაში, რამაც 271,6 მილიონი დოლარი შეადგინა. იმატა ევროში გაცემული სესხების ოდენობამ (20,08 მილიონი), რაც თითქმის გაორმაგებაა წინა პერიოდთან შედარებით. ხოლო ბრიტანული სტერლინგით გაცემულ სესხები, 0,6 მილიონს გაუტოლდა, ნაცვლად წინა კვარტალში გაცემული 0,12 მილიონისა.

რაც შეეხება გარიგებების ვადიანობას, ეროვნულ ვალუტაში შვიდ დღეზე მეტი ვადიანობის სესხებმა იმატა და მათი წილი 63 პროცენტს შეადგენდა, ნაცვლად 52 პროცენტისა რაც წინა კვარტალში განხორციელდა. რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებს, გაიზარდა ერთდღიანი სესხების წილი: აშშ დოლარისათვის 56,4 პროცენტიდან 60,8 პროცენტამდე, ევროში 46,1 პროცენტიდან 62,1 პროცენტამდე წინა კვარტალთან შედარებით.


აღწერილი გარიგებების ოდენობის დინამიკა აისახებოდა საპროცენტო განაკვეთების ქცევაზე: იკლო საშუალო შენონილმა საპროცენტო განაკვეთმა ლარში გაცემულ ერთდღიან სესხებზე, TIBR-1-ის საშუალო კვარტალური მნიშვნელობა 1.3 პროცენტს შეადგენდა, ნაცვლად 3,28 პროცენტისა. TIBR-7 3 პროცენტსა და 8,67 პროცენტს შორის იცვლებოდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში; მისი საშუალო კვარტალური მნიშვნელობა კი გაიზარდა და 6,04 პროცენტის ნაცვლად 6,5 პროცენტი შეადგინა. ხოლო მისი მნიშვნელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს 7,06 პროცენტს გაუტოლდა.

TIBR-1-ის დინამიკა გვიჩვენებს ერთდღიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენციას, რაც ჭარბი ლიკვიდობითა და შემცირებული მოთხოვნით აიხსნება.


2.5. საბანკო სექტორი

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2009 წლის მეოთხე კვარტალში 374,7 მლნ ლარით (ანუ 12,5 პროცენტით) გაიზარდა


ბრაზიკი 2.4
ბანკთაშორის მოკლევადიანი სესხების ინდექსები და პოლიტიკის განაკვეთი



ბრაზიკი 2.5.1
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში




ბრაზიკი 2.5.2
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში



ბრაზიკი 2.5.3


მოკლევადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში (მილიონი ლარი)



- იურიდიული პირების დანარჩენი სესხები
- ვაჭრობა და მომსახურება (იურიდიული პირების)
- ფიზიკური პირების სესხები

ბრაზიკი 2.5.4


მოკლევადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში (მილიონი ლარი)



- ფიზიკური პირების სესხები
- სამთომომოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა
- ვაჭრობა და მომსახურება
- დანარჩენი სესხები

ბრაზიკი 2.5.5

გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში (მილიონი ლარი)



- იურიდიული პირების სხვა სესხები
- სამთომომოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა (იურიდიული პირების)
- მშენებლობის სფერო (იურიდიული პირების)
- ვაჭრობა და მომსახურება (იურიდიული პირების)
- ფიზიკური პირების სესხები

და 3373,3 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 9,6 პროცენტით.

მეოთხე კვარტლის განმავლობაში უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ეროვნული ვალუტით გამოსახული მაჩვენებელი გაიზარდა 291,7 მლნ ლარით და 2470,1 მლნ ლარს შეადგენს. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ძირითადი ზრდა აღინიშნება ფიზიკური პირების ვადიან ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები (გამოსახული აშშ დოლარით) გაზრდილია 166,3 მლნ აშშ დოლარით (12,8 პროცენტით). უცხოური ვალუტის დეპოზიტების მოცულობის 73,9 პროცენტი ვადიან დეპოზიტებს უკავია. აღსანიშნავია, რომ უცხოური ვალუტით დეპოზიტების დიდი წილი (64,7 პროცენტი) ფიზიკურ პირებზე მოდის.

ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 83,0 მლნ ლარით (10,1 პროცენტით) და 903,1 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების ძირითადი ზრდა იურიდიული პირების ვადიან დეპოზიტებზე აღინიშნა.

საანგარიშო პერიოდში, სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე დეპოზიტების დოლაროზაციის მაჩვენებელი 2009 წლის მეოთხე კვარტალში 0,6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და დეკემბრის თვის ბოლოსთვის 73,2 პროცენტს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9,4 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით მიღებულ დეპოზიტებზე ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიურმა საშუალო შენონილმა განაკვეთმა 10,7 პროცენტი შეადგინა და სექტემბერთან შედარებით 0,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტებზე კი წლიური განაკვეთი – 9,2 პროცენტის დონეზე და სექტემბრის თვესთან

შედარებით 0,7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 2,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და მეოთხე კვარტლის ბოლოსათვის 9,3 პროცენტს გაუტოლდა. 2008 წლის დეკემბერში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0,5 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები ისევ 9,2 პროცენტის დონეზეა.

2009 წლის მეოთხე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 29,6 მლნ ლარით შემცირდა და 5255,6 მლნ ლარი შეადგინა.


ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები გაიზარდა 25,2 მლნ ლარით (2,1 პროცენტით) და 1218,5 მლნ ლარს გაუტოლდა. საანგარიშო პერიოდისათვის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების 58,2 პროცენტი იურიდიულ პირებზე მოდის. ამასთან, 57,8 პროცენტი გრძელვადიანი სესხებია.

უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 54,8 მლნ ლარით შემცირდა, 4037,0 მლნ ლარამდე. უცხოური ვალუტით დაკრედიტების მოცულობა, გამოსახული აშშ დოლარით, შემცირებულია 45,1 მლნ აშშ დოლარით (1,9 პროცენტით) და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 2394,7 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამ კატეგორიის სესხების 63,5 პროცენტი იურიდიული პირებისათვის გაცემული რესურსებია, ხოლო 78,6 პროცენტს გრძელვადიანი დაკრედიტება შეადგენს. უცხოური ვალუტით დაკრედიტების შემცირება მეტწილად იურიდიული პირების სესხებზე მოდის.


2009 წლის მეოთხე კვარტალში ვადაგადაცემული სესხები 55,5 მლნ ლარით (25,8 პროცენტით) შემცირდა და 159,8 მლნ ლარს გაუტოლდა.

საბანკო სისტემაში საპროცენტო განაკვეთები


ბრაზიკი 2.5.6
გრძელვადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში (მილიონი ლარი)



ბრაზიკი 2.5.7
ვადაგადაცემული დავალიანებები (მილიონი ლარი)




ბრაზიკი 2.5.8
სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები




ბრაზიკი 2.5.9

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან



ბრაზიკი 2.5.10

კრედიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




სესხებზე 2009 წლის მეოთხე კვარტალში, წინა პერიოდთან შედარებით, კლების მიმართულებით შეიცვალა და წლიური 20,8 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდისთვის შემცირებულია უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთები (საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი 19,3 პროცენტამდე). უცხოური ვალუტით იურიდიული პირებისთვის სესხები წლიური 17,3 პროცენტის ფარგლებში გაიციმოდა. მეოთხე კვარტალში 0,2 პროცენტით გაიზარდა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები და 23,4 პროცენტი შეადგინა. გასული წლის დეკემბერთან შედარებით საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით სესხებზე 2,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ეროვნული ვალუტით სესხების საპროცენტო განაკვეთებმა 0,7 პროცენტული პუნქტით მოიკლო.

საანგარიშო პერიოდში შემოსავლიანობის აქტივებზე (ROA) და კაპიტალზე (ROE) დაფიქსირდა ნეგატიური მაჩვენებლები. 2009 წლის დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლების შეფარდება აქტივებთან -0,8 პროცენტი, ხოლო შემოსავლების შეფარდება კაპიტალთან -4,3 პროცენტი შეადგინა.

ჩანართი 1. საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენების ტენდენციები

ბრაზიკი 1

მიმოქცევაში არსებული საბანკო პლასტიკური ბარათების რაოდენობა თვეების მიხედვით



ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენების ზრდა. ასეთი ბარათების საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციები, ერთის მხრივ, ამაღლებს ანგარიშსწორების ეფექტიანობას, (ამცირებს რა ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს), ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს ანგარიშსწორების პროცესის გამჭვირვალობას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში აღინიშნება პლასტიკური ბარათების როგორც რაოდენ-

ნობის, ისე მათი საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობისა და მოცულობის ზრდა.

საგულისხმოა, რომ 2008 წლის მდგომარეობით, თუ შევადარებთ პლასტიკური ბარათების რაოდენობას ერთ სულ მოსახლეზე, საქართველოს მაჩვენებელი (0.81) აღმოსავლეთ ევროპისა ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს შეესაბამება. საშუალო სიდიდესთან შესაბამისობაშია მილიონ მოსახლეზე ბანკომატების რაოდენობაც (305)⁴.

ამას ვერ ვიტყვით ისეთ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა ერთი ბარათით შესრულებული ოპერაციების საშუალო რაოდენობა (8 ოპერაცია), ერთ ბარათზე საშუალო წლიური ბრუნვა (649 დოლარი), და POS ტერმინალების რაოდენობა მილიონ მოსახლეზე (1384). ეს მაჩვენებლები საქართველოს გაცილებით უარესი აქვს, ვიდრე საშუალო აღმოსავლეთ-ევროპულ ქვეყანას.


საბანკო პლასტიკური ბარათების მომსახურების ოპიქტები

საბანკო პლასტიკურ ბარათებით ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია ოთხი ძირითადი გზით: ბანკომატებით, პოსტერმინალებით, ბანკის სერვის-ცენტრების ტერმინალებით და ინტერნეტით. ბუნებრივია, პლასტიკური ბარათების გამოყენების მაჩვენებლები დამოკიდებულია ტრანზაქციების განხორციელების ჩამოთვლილი საშუალებების მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომობასა და მათი მეშვეობით ტრანზაქციის შესრულების მომგებიანობაზე. ამასთანავე, სავაჭრო ობიექტების POS-ებში და ინტერნეტ-გადახდებისათვის საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენების მაჩვენებლები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამომხმარებლო ჩვევებზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის განმავლობაში სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში დაახლოებით სამჯერ მეტი POS ტერმინალი იყო განთავსებული, ვიდრე ბანკებში, ბანკებში განლაგებული ტერმინალების საერთო ბრუნვა ბევრად მაღალი იყო. უპერაციების უდიდესი ნაწილი კი ბანკომატებზე მოდის.


ბრაზიკი 2

რეზიდენტი ბანკების მიერ ემიტირებული ბარათებით მომსახურე ობიექტებში განხორციელებული ოპერაციების დინამიკა




ბრაზიკი 3

ერთ ბარათზე საშუალო წლიური ბრუნვა (აშშ დოლარი)



ბრაზიკი 4


2009 წელს საბანკო პლასტიკური ბარათების საშუალებით განხორციელებული ბრუნვის განაწილება განხორციელების გზების მიხედვით



4 წყარო – European Central Bank-ის ვებ-საიტი, სომხეთის და ალბანეთის ცენტრალური ბანკების ვებ-საიტები, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის ბიულეტენი

ბრაზიკი 5

ქვეყნის შიგნით რეზიდენტი ბანკების ბარათებით სავაჭრო ობიექტების POS-ებში ტრანზაქციებისა და ტერმინალების რაოდენობა თვეების მიხედვით (2009)



აღსანიშნავია, რომ გასული წლის განმავლობაში პლასტიკური ბარათით განხორციელებული ერთეული ოპერაციის საშუალო თანხა პრაქტიკულად არ გაზრდილა და დაახლოებით 135 ლარს შეადგენდა. ასევე სტაბილურია ერთი ბანკომატისა და POS-ის საშუალებით განხორციელებული საშუალო ბრუნვის სიდიდეც.

სავაჭრო და მომსახურების ობიექტების POS ტერმინალებზე თვეების მიხედვით ტრანზაქციების რაოდენობა მაღალ კორელაციაშია (0.945) ტერმინალების რაოდენობასთან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სავარაუდოდ, POS ტერმინალების მქონე სავაჭრო ობიექტების მომრავლების შემთხვევაში შესაბამისად უნდა გაიზარდოს ტრანზაქციების რაოდენობაც.

2.6. გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები


მცირე და ღია ეკონომიკების პირობებში, როგორცაა საქართველო, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი განსაზღვრავს იმპორტირებული საქონლის ფასს შიდა ბაზარზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ, იმპორტირებულ საქონელს მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს სამომხმარებლო კალათაში და შესაბამისად გავლენას ახდენს ინფლაციაზე, განსაკუთრებით მნიშ-

ვნელოვანი ხდება გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. გაცვლითი კურსის დინამიკას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის კუთხით, რადგანაც კურსის მკვეთრად მერყეობის პირობებში კომერციული ბანკებისთვის იზრდება ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკი.

2009 წლის მარტში ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გაუქმებისა და ამავე წლის მაისში ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის აუქციონების შემოღების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული ბანკის როლი უცხოური ვალუტის ბაზარზე და შესაბამისად გაიზარდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების როლი ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრისას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაცვლითი კურსის რეჟიმების კლასიფიკაციის მიხედვით საქართველოში მოქმედი რეჟიმი აღწერილია როგორც „მართვადი-მცურავი, წინასწარ განსაზღვრული დინამიკის გარეშე“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკის ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე მხოლოდ გაცვლითი კურსის მკვეთრი მოკლევადიანი

ბრაზიკი 2.6.1

სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციები (მლნ აშშ დოლარი)




მერყეობის თავიდან აცილებას ემსახურება და გაცვლითი კურსი მის გრძელვადიან ოპტიმალურ დონისკენ მიმავალ დინამიკას შეესაბამება. ასევე უნდა აღინიშნოს რომ, სავალუტო აუქციონების შემოღებასთან ერთად მკვეთრად შემცირდა ბაზარზე ეროვნული ბანკის ინტერვენციების მოცულობა. 2009 წლის მეოთხე კვარტალში ასეთმა ინტერვენციებმა მხოლოდ 15 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვარტალში განხორციელებული ინტერვენციების დაახლოებით ნახევარს შეადგენს.


გაცვლითი კურსის საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრის პირობებში მნიშვნელოვანია უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებაზე მოქმედი ყველა ფაქტორის ანალიზი, რაც ძირითადად საგარეო სავაჭრო ურთიერთობებით არის განპირობებული. უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას ძირითადად იმპორტი განაპირობებს. როდესაც იმპორტი აღემატება ექსპორტს, შექმნილი სავაჭრო დეფიციტის დაფინანსება უცხოური ვალუტის კაპიტალის სახით შემოდინების ან ფულადი გზავნილების ხარჯზე ხდება. აქვე კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაუსვას ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონების მნიშვნელოვან როლს მოთხოვნა-მიწოდების დროებითი დისბალანსის შესწორების ქრილში.

უცხოური ვალუტის მოთხოვნის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ეკონომიკის დოლარიზაციის დონე წარმოადგენს, რომელიც ეკონომიკური აგენტების კურსის ცვლილების მოლოდინს და ეროვნული ვალუტისადმი ნდობას უკავშირდება. ამ ფაქტორის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია დეპოზიტებისა და სესხების ნაკადების დოლარიზაციის კოეფიციენტებზე დაკვირვება. 2009 წლის მეოთხე კვარტალში დეპოზიტების ნაკადის საშუალო დოლარიზაციის კოეფიციენტმა საშუალოდ 41.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა კვარტალში ეს მაჩვენებელი 40 პროცენტს შეადგენდა. ანალოგიური მაჩვენებელი სესხების ნაკადებისთვის


ბრაზიკი 2.6.2
საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული წმინდა შესყიდვები (მლნ აშშ დოლარი)



ბრაზიკი 2.6.3
სესხების ნაკადების დოლარიზაცია




ბრაზიკი 2.6.4
დეპოზიტების ნაკადების დოლარიზაცია




ბრაზიკი 2.6.5

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




ბრაზიკი 2.6.6

საქართველოს სავაჭრო ბალანსისა და მიმდინარე ანგარიშის დინამიკა



ბრაზიკი 2.6.7

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა (2008 წელი)



მეოთხე კვარტალში 62.8 პროცენტს შეადგენს, ხოლო მესამე კვარტალში 61.5 პროცენტს. აღწერილი ცვლილებები უმნიშვნელოა და ვალუტისადმი უპირატესობის მინიჭების ფუნდამენტალურ ცვლილებებზე არ მიუთითებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალი დონე და გარკვეულწილად დოლარის უსაფრთხო ვალუტის სტატუსი.

2009 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება გასულ წელს განხორციელებულ ანალოგიურ ინვესტიციებს. 2009 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მხოლოდ 510 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. შედარებისთვის, 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით ქვეყანაში 1,2 მილიარდი აშშ დოლარის შემოდინება მოხდა, რაც 2009 წელს 59 პროცენტით კლების ექვივალენტურია. 2009 წელს ასევე შემცირდა ქვეყანაში პორთფელური ინვესტიციები და პირველი სამი კვარტალის მაჩვენებლებით 14 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინების მკვეთრი ვარდნა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიითა და მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე შექმნილი კრიზისით აიხსნება. კერძო უცხოური კაპიტალის შემოდინების შემცირების პირობებში აღსანიშნავია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და დონორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და სესხების როლი.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში შემცირდა მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა რაც საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკაზეც აისახა. 2009 წლის მესამე კვარტალში საქონლისა და მომსახურების იმპორტი 1,335 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 31.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

საექსპორტო საქონლისა და მომსახურების ღირებულებამ ამავე პერიოდში 883 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 15 პროცენტთან კლებას წარმოადგენს. იმპორტის ექსპორტზე უფრო სწრაფად კლების შედეგად 2009 წელს საგრძნობლად შემცირდა სავაჭრო ბალანსისა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტები. 2009 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით ამ მაჩვენებლების ვარდნამ წლიურად შესაბამისად 50 და 66 პროცენტი შეადგინა. 2009 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლება ზოგადად ამცირებს მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე და შესაბამისად გაცვლითი კურსის გამყარების მანიშნებელი უნდა იყოს, თუმცა გასათვალისწინებელია კუსზე საპირისპიროდ მოქმედი ინვესტიციების შემცირებით გამოწვეული უცხოური ვალუტის მიწოდების კლება.

2009 წლის მესამე კვარტალის ბოლოსთან შედარებით, 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარი 1.6771-დან ლარიდან 1.6858 -მდე იყო გაძვირებული, ხოლო ევრო 2.4405 -დან 2.4195 ლარამდე გაიაფებული. 2009 წლის მეოთხე კვარტალში ლარის როგორც რეალური, ისე ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.1 პროცენტით გამყარდა.


2.7. გამოწვევა და მოთხოვნა

2009 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ეკონომიკის დაცემა გრძელდებოდა, რაც წინა წლის მესამე კვარტალთან მიმართებაში ნომინალური მშპ-ის 3,6-პროცენტთან კლებაში გამოიხატა. იმავე პერიოდში რეალური მშპ მხოლოდ 1,2 პროცენტით შემცირდა - სახელმწიფო მმართველობის სექტორის დეფლირების სპეციფიკური მეთოდოლოგიის და დაბალი ინფლაციის გამო მშპ-ის დეფლატორმა -2,4 პროცენტი შეადგინა.

ერთი შეხედვით, აღნიშნულ პერიოდში მშპ-ის ზრდის ტემპები არსებითად გაუმჯობესებულია წინა კვარტალთან შედარებით, როდესაც ეკონომიკის რეალური კლება -10.7 პროცენტს

ბრაზიკი 2.6.8

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (დეკ-95=100)




ცხრილი 2.7

ეკონომიკური სექტორების წვლილი საქართველოს მშპ-ში (პროცენტი) 2009 წლის მესამე კვარტალი

	ზრდის ტემპის ინდექსი	ხვედრითი წილი მშპ-ში	წვლილი მშპ-ის ზრდაში
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	-5.2%	7.6%	-0.4%
სამთომომპოვებითი მრეწველობა	6.8%	0.8%	0.1%
დამამუშავებელი მრეწველობა	-1.1%	8.5%	-0.1%
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	10.3%	2.0%	0.2%
პროდუქციის გადაამუშავება შინამეურნეობების მიერ	-2.2%	3.1%	-0.1%
მშენებლობა	9.2%	5.6%	0.5%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და მოხმარების საგნების რემონტი	-13.2%	14.1%	-1.9%
სასტუმროები და რესტორნები	-3.4%	2.1%	-0.1%
ტრანსპორტი	5.2%	6.0%	0.3%
კავშირგაბმულობა	-2.4%	3.7%	-0.1%
საფინანსო შუამავლობა	9.2%	2.0%	0.2%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განწევა	2.0%	3.6%	0.1%
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	2.6%	2.5%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა	2.1%	14.5%	0.3%
განათლება	-1.4%	4.1%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	5.0%	4.3%	0.2%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განწევა	-5.2%	3.1%	-0.2%
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	2.2%	0.1%	0.0%
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	1.5%	-1.3%	0.0%
მშპ საბაზისო ფასებში			-0.9%
(+) გადასახადები პროდუქციაზე	-2.4%	14.0%	-0.3%
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	2.2%	-0.4%	0.0%
მშპ საბაზრო ფასებში	-1.2%	100.0%	-1.2%

გრაფიკი 2.7

საქართველოს მშპ-ის ძირითადი სექტორების ზრდის დინამიკა (2004–2009 წლის მესამე კვარტალი)



გაუტოლდა. დადებითი ზრდის ტემპები მიღწეული იქნა ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების, მშენებლობის, ტრანსპორტის, საფინანსო შუამავლობის, სახელმწიფო მმართველობისა და რამდენიმე სხვა სექტორში.

ამასთან ერთად, რეალური მშპ-ის წლიური ზრდის ტემპების გაუმჯობესება არსებითად გამოწვეული იყო „საბაზო ეფექტით“ – 2008 წლის შესაბამის კვარტალში მომხდარმა სამხედრო მოქმედებებმა საქართველოს ეკონომიკის 5-პროცენტის კლება გამოიწვია.

საქართველოს ეკონომიკის სექტორული ანალიზი სეზონური ფაქტორების გათვალისწინებით გვიჩვენებს, რომ სექტორთა უმრავლესობაში რეალური კლება შეწყდა, მაგრამ ზრდის ტენდენციები ჯერ-ჯერობით არ არის გამოკვეთილი. შედარებით უფრო მაღალი ზრდა წინა კვარტალთან შედარებით დაფიქსირდა ვაჭრობისა და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში. ამის საპირისპიროდ, ტრანსპორტისა და მშენებლობის სექტორებში, დადებითი წლიური ზრდის ტემპების მიუხედავად, არსებითი კვარტალური დაცემა

აღინიშნა და თუ მშენებლობის სექტორში ამას შეიძლება დროებითი ხასიათი ჰქონოდა, ტრანსპორტის სექტორი უკანასკნელი 4 კვარტალის განმავლობაში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური რეცესიის ყველაზე დაბალი დონე საქართველოში უკვე განვლილია. მეორე მხრივ, სტაბილური ეკონომიკური ზრდის ტემპების აღდგენა უკვე შემდგომი ეტაპის ამოცანას წარმოადგენს, რომლის მიღწევის დრო ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

2.7.1. კერძო და სახელმწიფო მოხმარება

მთლიანი მოხმარება 2009 წლის მესამე კვარტალში წინა წლის შესაბამისი კვარტალის დონესთან შედარებით 47 მლნ ლარით შემცირდა და 4 641,3 მლნ ლარს გაუტოლდა. წინა კვარტალთან შედარებით, როდესაც საბოლოო მოხმარება უპრეცედენტო 14,7 პროცენტით შემცირდა⁵, მოხმარების კლებამ მხოლოდ 1,0 პროცენტი შეადგინა.

ამასთან ერთად, მთლიანი მოხმარების შემთხვევაშიც დაცემის დაბალი ტემპები 2008 წლის მესამე კვარტალის საბაზო ეფექტით არის გამოწვეული. სეზონურობის გათვალისწინებით მთლიანი მოხმარების დონე წინა კვარტალთან შედარებით არ გაუმჯობესებულა, რაც ზოგადად მოხმარების ინერტულობაზე მიუთითებს.

2.7.2. ინვესტიციები

მთლიანი კაპიტალის ფორმირების დონე საგრძნობლად გაიზარდა წინა კვარტალთან შედარებით, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 338.8 მლნ ლარიდან 635.7 მლნ ლარამდე ზრდაში გამოისახა. აღნიშნული ზრდა არსებითად იყო გან-

5 სტატისტიკის დეპარტამენტი ყოველწლიურად ნოემბრის ბოლოს აქვეყნებს წინა წლის დაზუსტებულ მშპ-ს, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ წინა წლის, არამედ მიმდინარე წლის შესაბამისი კვარტალების წლიური ზრდის ტემპებზეც. 2008 წლის დაზუსტებული მშპ-ის გამოქვეყნების შემდეგ, 2008 წლის მეორე კვარტალის მთლიანი მოხმარების მონაცემი შეიცვალა 4 684,9 მლნ ლარიდან 5 335,0 მლნ ლარამდე.

პირობებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით წინა კვარტალებთან შედარებით.

მიუხედავად ამისა, ინვესტიციების კლების წლიური ტემპები მაინც ძალიან დიდი აღმოჩნდა და 44,2 პროცენტი შეადგინა.

2.7.3. 2009 წლის შიშისა და 2010 წლის პრობნოზი

2009 წლის მესამე კვარტალის მშპ-ის რეალური ზრდის ტემპები დაახლოებით 1 პროცენტული პუნქტით უკეთესი აღმოჩნდა წინა კვარტალში გაკეთებულ პროგნოზთან შედარებით (შესაბამისად, -1,2 და -2 პროცენტი). ამასთანავე, აღნიშნული სხვაობა მნიშვნელოვნად იყო განპირობებული 2008 წლის მშპ-ის კვარტალური ზრდების შემდგომი შესწორებით, რის შედეგადაც 2008 წლის მეორე კვარტალის ზრდის ტემპები -3,9 პროცენტიდან -5,0 პროცენტით შეიცვალა.

დღეისათვის არსებული წინასწარი მონაცემების საფუძველზე 2009 წლის მეოთხე კვარტალის მშპ-ის კლება დაახლოებით 0,5 – 0,7 პროცენტის დონეზეა ნავარაუდები. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი დაახლოებით -4,3 პროცენტის შეადგენს. 2009 წლის დეფლატორის დონე დაახლოებით -2,5 პროცენტის დონეზე არის მოსალოდნელი, რაც ქვეყნის ნომინალური მშპ-ის თითქმის 7-პროცენტიან კლებას გულისხმობს.

2010 წელს ეკონომიკური ზრდის განახლება წლის მეორე კვარტალიდან არის მოსალოდნელი, ხოლო წლიური ზრდის ტემპები სულ ცოტა 2 პროცენტის დონეზე არის ნავარაუდები. 2010 წლის მშპ-ის დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელი 1,5–2 პროცენტს უნდა აღწევდეს.

2.8. საბარეო ვაჭრობა

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასია-

თდება. აგვისტოს საომარი მოქმედებების, და შემდგომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით, 2008 წლის მესამე კვარტალიდან დაფიქსირდა კვარტალური, ხოლო შემდგომ წლიური ვარდნა, როგორც რეგისტრირებული ექსპორტის, ასევე იმპორტის შემთხვევაში. 2008 წლის მეოთხე კვარტალში და შემდგომ 2009 წლის პირველ კვარტალში კლების ტენდენცია გრძელდებოდა. 2009 წელს აღდგა კვარტალური ზრდის ტენდენცია, მაგრამ წლიური ზრდის მაჩვენებლები კვლავ უარყოფითი იყო (გამონაკლისს შეადგენდა რეგისტრირებული ექსპორტი 2009 წლის მეოთხე კვარტალში).


2009 წლის მდგომარეობით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5513,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 29,3 პროცენტით ნაკლებია⁶. აქედან საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი, 1135,0 მილიონი აშშ დოლარი, წინა წლის მაჩვენებელზე 24,1 პროცენტით ნაკლები იყო. საქონლის რეგისტრირებულმა იმპორტმა, იგივე პერიოდისთვის, 4378,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 30,6 პროცენტით ჩამორჩება. შედეგად, 2009 წლის მდგომარეობით, სავაჭრო დეფიციტმა 3243,4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 32,5 პროცენტით ნაკლებია.

2009 წლის მეოთხე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 22,0 პროცენტით გაიზარდა (წინა კვარტალებისგან განსხვავებით სადაც მუდმივი კლება იყო, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ გასული წლის მეოთხე კვარტალის მაჩვენებელი დაბალი იყო) და 313,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამავდროულად, იმპორტი და სავაჭრო დეფიციტი შესაბამისად 15,6 პროცენტით და 23,4 პროცენტით შემცირდა და 1263,4

⁶ საგარეო ვაჭრობაში მოყვანილ მონაცემთა წყაროს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია. საგადასახდელი ბალანსის საქონლის ექსპორტის და იმპორტის მონაცემები საგარეო ვაჭრობისგან განსხვავებულ შედეგს აჩვენებს, მეთოდოლოგიური განსხვავებების გამო.

გრაფიკი 2.8.1

ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი და სავაჭრო ბრუნვა (ათასი აშშ დოლარი)



და 949,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს სეზონური ზრდის ტენდენციები მთლიანად აღდგენილია და შესაბამისად, წლის მეოთხე კვარტალში დაფიქსირდა დადებითი ზრდის ტემპი წინა კვარტალთან შედარებით, როგორც ექსპორტის (5,5 პროცენტი ზრდა) ასევე იმპორტის (11,7 პროცენტი ზრდა) შემთხვევაში. ეკონომიკური აქტივობა, როგორც წესი, ყველაზე დაბალია წლის პირველ კვარტალში და შემდგომ კვარტალებში აღმავალი ტენდენციით ხსიათდება.

2009 წლის მეოთხე კვარტალში (ასევე წლიური შედეგების მიხედვით), ექსპორტირებულ საქონელს შორის ფეროშენადნობები ტრადიციულად პირველ პოზიციაზე იყო. მეორე პოზიცია ეჭირა ოქროს, რომლის ექსპორტის წლიური ზრდის ტემპი 38,0 პროცენტს შეადგენდა. ოქროს ექსპორტის ზრდა ოქროზე საერთაშორისო ფასების მატებით იყო განპირობებული. ოქროს საექსპორტო ფასი 2009 წლის მეოთხე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 48,0 პროცენტით იყო გაზრდილი. რაც შეეხება ექსპორტირებული ოქროს რაოდენობას – წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,8 პროცენტით ნაკლები იყო. თხილის ექსპორტი 2,3 –ჯერ

გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და მესამე პოზიციაზე იყო. თხილის ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო როგორც ექსპორტირებული საქონლის რაოდენობის, ასევე ფასების ზრდით (40,0 პროცენტი და 68,5 პროცენტი წლიური ზრდა შესაბამისად). შემდეგ პოზიციაზე იყო მინერალური სასუქები. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი/რეექსპორტი 2009 წლის მეოთხე კვარტალში მნიშვნელოვნად იყო შემცირებული (62 პროცენტი წლიური კლება), რაც განაპირობა ტოიოტას ავტომობილებზე აღმოჩენილი დეფექტების გამო ტოიოტას მარკის ავტომობილების გაყიდვების შენელებამ მსოფლიო მასშტაბით. საქართველოდან ექსპორტირებული მანქანების დიდ წილს მეზობელ ქვეყნებში ტოიოტას გაყიდვები შეადგენდა. 2009 წლის მეოთხე კვარტალში აღსანიშნავია ციტრუსოვანი ხილის ექსპორტის მკვეთრი ზრდა. ამ პერიოდში გატანილი საქონლის ღირებულება ოთხჯერ აღემატებოდა 2008 წლის წლიურ ექსპორტს. ციტრუსების ექსპორტის 75 პროცენტი უკრაინაში განხორციელდა, 16 პროცენტი – აზერბაიჯანში, 7 პროცენტი – ბელარუსში ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ქვეყნებში.

2008 წლის მეოთხე კვარტალიდან დაფიქსირდა ახალი საექსპორტო დასახელებები, ცოცხალი ცხვრები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ცოცხალი ცხვრების წლიურმა ექსპორტმა 2009 წელს 17,0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2009 წლის მეოთხე კვარტალში – 12,7 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11,9–ჯერ მეტია. ცხვრების ძირითადი პარტია საუდის არაბეთში იქნა ექსპორტირებული. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, 2009 წლის განმავლობაში 16,9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი იქნა ექსპორტირებული, უმეტეს წილად აზერბაიჯანში.

2009 წლის მეოთხე კვარტალში საექსპორტო

საქონლის პირველ ათეულს შეადგენდა: ფეროშენადნობები, ოქრო, თხილი, მინერალური სასუქები, ციტრუსები, სპილენძის მადანი, სპირტი, შავი ლითონების ჯართი, ცოცხალი ცხვრები, ღვინო.

2009 წლის მეოთხე კვარტალში ექსპორტირებული საქონლის 2,9 პროცენტი საინვესტიციო საქონელი იყო, 59,2 პროცენტი – შუალედური მოხმარების და 37,9 პროცენტი სამომხმარებლო.

2009 წლის მეოთხე კვარტალში ნავთობპროდუქტების იმპორტი ტრადიციულად პირველ პოზიციაზე იყო. ნავთობპროდუქტების იმპორტი განაგრძობდა ზრდას წლიური 24,1 პროცენტი ზრდის ტემპით, რაც განპირობებული იყო როგორც ნავთობის ფასის, ასევე იმპორტირებული საქონლის მოცულობის ზრდით. იგივე პერიოდის განმავლობაში, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომელიც მეორე პოზიციაზეა, წინა კვარტალთან შედარებით 7,6 პროცენტით გაიზარდა.

2009 წლის მეოთხე კვარტალში იმპორტირებული საქონლის 12,2 პროცენტი საინვესტიციო საქონელი იყო, 44,8 პროცენტი – შუალედური მოხმარების და 42,9 პროცენტი სამომხმარებლო.


2009 წლის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით იყვნენ: თურქეთი, აზერბაიჯანი, კანადა, სომხეთი, უკრაინა, ბულგარეთი, აშშ, იტალია, გერმანია, რუსეთი. ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მთლიანი რეგისტრირებული ექსპორტის 76,6 პროცენტი. იმპორტის მიხედვით უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, გერმანია, რუსეთი, აშშ, ჩინეთი, ბულგარეთი, იტალია, რუმინეთი. აღნიშნული ქვეყნების წილად მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 67,8 პროცენტი მოდიოდა.

2.9. სამთავრობო ოპერაციები

2009 წლის მეოთხე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 1588 მლნ ლარი შეადგინა. გრანტების სახით მიღებულმა

ბრაზიკი 2.8.2

ნამყვანი საექსპორტო პროდუქცია 2008 წლის და 2009 წლის მეოთხე კვარტალში (ათასი აშშ დოლარი)



შემოსავალმა 212 მლნ ლარი, ხოლო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებმა 1376 მლნ ლარი შეადგინა. მეოთხე კვარტალში მიღებული შემოსავლები მშპ-ს 31,2 პროცენტია, რაც 2,5 პროცენტული პუნქტით მეტია წინა კვარტლის მონაცემზე და 4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე. საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო შემოსავლების ფარდობა მშპ-თან) 2009 წლის მეოთხე კვარტალში 22,7 პროცენტს შეადგენს, 1,2 პროცენტული პუნქტით დაიკლო მესამე კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0,1 პროცენტული პუნქტით მოიკლო. მეოთხე კვარტალში მიღებულმა გრანტებმა მშპ-ს 4,2 პროცენტი შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. საანგარიშო პერიოდში მიღებული გრანტების ძირითადი ნაწილი ევროკავშირის გრანტებზე მოდის.

მეოთხე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მთლიანმა ხარჯმა 2021 მლნ ლარი შეადგინა რაც 285 მლნ ლარით მეტია მესამე კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 0,4 პროცენტით შემცირდა.


ცხრილი 2.9.1

ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები (მლნ ლარი)

	2009 წლის IV კვარტალი	თანაფარდობა მშპ-სთან (2009)
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	1588	31,2%
შემოსავლები	1376	27%
საგადასახადო შემოსავლები	1159	22,7%
არასაგადასახადო შემოსავლები	217	4,3%
გრანტები	212	4,2%
მთლიანი ხარჯები	2021	39,7%
მიმდინარე ხარჯები	1537	30,2%
კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	484	9,5%
დეფიციტი	-433	-8,5%
დეფიციტის დაფინანსება	433	8,5%
პრივატიზაცია	91	1,8%
თავისუფალი საბრუნავი სახსრების გამოყენება	-116	-2,3%
საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა	187	3,7%
საგარეო ვალდებულებების წმინდა ზრდა	271	5,3%

ბრაზიკი 2.9.1

ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა



მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები მეოთხე კვარტალში შესაბამისად 1537 მლნ და 484 მლნ ლარს შეადგენს. წინა კვარტალთან შედარებით კაპიტალური ხარჯები 15,2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან

შედარებით კი 20,5 პროცენტით შემცირდა. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მშპ-სთან თანაფარდობა 39,7 პროცენტს შეადგენს: 1,2 პროცენტული პუნქტით მეტი წინა კვარტალთან შედარებით და 0,5 პროცენტული პუნქტით მეტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

2009 წლის მეოთხე კვარტალში დაფიქსირდა ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 433 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 8,5 პროცენტს შეადგენს. დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს მეოთხე კვარტალში საგარეო ვალდებულებების წმინდა ზრდა წარმოადგენს – 271 მლნ ლარი. აღსანიშნავია სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისგან მიღებული სესხები 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. პრივატიზაციის შედეგად მობილიზებული იქნა 91 მლნ ლარი. საანგარიშო პერიოდში თავისუფალი საბრუნავი სახსრები შეივსო 116 მლნ ლარით, ხოლო საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდამ 187 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში ფულადი ნაკადების შემოდინების შემცირების და საბანკო სისტემაში ქარბი ლიკვიდობის ფონზე კვლავ მნიშვნელოვანი იყო ფულის მიწოდებაზე ფისკალური პოლიტიკის გავლენა. ფულის მიწოდების მნიშვნელოვან წყაროს კვლავ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და დონორი ქვეყნებიდან მიღებული გრანტების და კრედიტების ხარჯვა წარმოადგენდა, რაც ერთი მხრივ, ფულის მასის ზრდას უწყობდა ხელს, ხოლო მეორე მხრივ, გავლენას ახდენდა ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებაზე. 2009 წლის მეოთხე კვარტალში ეროვნული ბანკის სარეზერვო ფული გაიზარდა 3,15 პროცენტით (53,3 მლნ ლარი). სარეზერვო ფულის ცვლილებაში სამთავრობო ოპერაციების წვლილი 9 პროცენტული პუნქტია. ამრიგად მეოთხე კვარტალში ფისკალური პოლიტიკა სარეზერვო ფულის ზრდას უწყობდა ხელს, რაც იმას ნიშნავს რომ სახელმწიფო ატარებდა ექსპანსიურ პოლიტიკას, რაც ეკონომიკური აქტივობის ხელის შემწყობი ფაქტორია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განსაკუთრებით დიდი იყო დეკემბრის თვეში (890 მლნ ლარი) რაც ძირითადად კაპიტალური ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების წილად მოდის.

საანგარიშგებო პერიოდის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში მნიშვნელოვანია საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე განეული ხარჯები (490 მლნ ლარი), რომელიც წარმართა საერთო დანიშნულების ფულად ნაკადებზე მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ფინანსური და ფისკალური საქმიანობის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე.

2009 წლის მეოთხე კვარტალში სახელმწიფო ხარჯების სიდიდით მეორე კატეგორიაა სოციალურ დაცვაზე განეული ხარჯები, რომელმაც 336 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმართა ხანდაზმულთა

სოციალურ დაცვაზე, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვაზე. საანგარიშგებო პერიოდში თავდაცვაზე დაიხარჯა 288 მლნ ლარი.

2009 წლის დეკემბრის ბოლოსთვის მთლიანი სახელმწიფო ვალი წინა წლის ბოლო მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 24,5 პროცენტით (1457 მლნ ლარი) 7,4 მლრდ ლარამდე. აქედან საგარეო ვალდებულებები გაიზარდა 1214 მლნ ლარით, ხოლო საშინაო ვალდებულებები გაიზარდა 243 მლნ ლარით. მეოთხე კვარტლის ბოლოსთვის მთლიანი სახელმწიფო ვალი 2009 წლის მშპ-ს 41,5 პროცენტს შეადგენს და 14,1 პროცენტული პუნქტით მეტია 2008 წლის დეკემბრის მონაცემებზე. სახელმწიფო ვალის წილი მშპ-თან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა რაც ძირითადად სავალუტო ფონდის კრედიტებს და ევრობონდების გამოშვებას უკავშირდება, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი სახიფათო ზღვარზე ჯერ კიდევ დაბალია.

ჩანართი 2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები

2009 წლის 5 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ 5 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებები გამოუშვა. მას შემდეგ ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების მოცულობა თანადათან მატულობს. 2009 წლის 31 დეკემბრისათვის გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების საერთო მოცულობამ 270 მილიონ ლარს მიაღწია.

ეკონომისტები თანხმდებიან, რომ კრიზისის დროს, როცა ეკონომიკური ზრდა შენელებული და კერძო დანაზოგები მოკრძალებულია, სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ბიუჯეტის ხარჯვა. ამ მიზნით მთავრობები ზრდიან ქვეყნის დეფიციტს, რომელიც ბუნებრივია საიდანაც უნდა დაფინანსდეს. დაფინანსების ორი განსხვავებული წყარო შეიძლება გამოვარჩიოთ: საგარეო და საშინაო.

ხშირ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, დაფინანსე-

ბის საგარეო წყარო მთავრობისთვის ხელსაყრელი ჩანს დაბალი საპროცენტო განაკვეთის გამო. სინამდვილეში, უცხოეთიდან ფულის სესხება მრავალი ფარული საფრთხის მატარებელია. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რეფინანსირების რისკი. არ არის გამორიცხული გართულდეს სესხის რეფინანსირება ნდობის შემცირების, დიდი საგარეო ვალის დაგროვების ან საერთაშორისო ბაზარზე ლიკვიდობის დეფიციტის გამო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სავალუტო რისკი. საგარეო სესხის მიღებისა და გადახდის პერიოდებს შორის კურსი შეიძლება მკვეთრად გაუფასურდეს. მთავრობას შემოსავლების უმეტესი ნაწილი ეროვნული ვალუტით აქვს, ხოლო ვალი თუ უცხოური ვალუტით ექნება გადასახდელი კურსის გაუფასურებამ ეფექტური საპროცენტო გადასახადი შეი-

ძლება მკვეთრად გაუზარდოს. მაგალითისათვის 2008 წელს გამოშვებულ ევრობონდებზე ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის 7.5 პროცენტი, მაგრამ თუ დავამატებთ ევრობონდების გამოშვებიდან დღემდე (2 წლის განმავლობაში) კურსის ცვლილებას რეალურად წლიური საპროცენტო განაკვეთი გამოდის 17 პროცენტის ფარგლებში, რაც ბევრად აღემატება სახაზინო ვალდებულებებით მოზიდული სახსრებისათვის გადახდილ პროცენტს.

აღნიშნული რისკები არ არსებობს ადგილობრივ ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისას. რა თქმა უნდა, სრულიად ურისკო ბიუჯეტის ეს წყაროც არ არის. მას ეგრეთწოდებული საპროცენტო რისკი ახასიათებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რეფინანსირების დროს ბაზარზე შეიძლება საპროცენტო განაკვეთები მაღალი იყოს. ეს საფრთხე განსაკუთრებით მაშინ იზრდება, თუ მთავრობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება ფასიანი ქაღალდების ემისიას და მობილიზებული სახსრების ხარჯვას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი მთავრობის მიერ განეული ხარჯები რჩება ეკონომიკაში და ქვეყნიდან არ გაედინება.

შიდა ვალის რისკების შემცირების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვება. შესაბამისად დაფარვები მთავრობას მოუწევს სხვადასხვა წლებში და რომელიმე წელს რეფინანსირების პრობლემები არ გამოიწვევს სესხის დიდი ნაწილის ერთდროულად დაფარვის აუცილებლობას. შემცირდება საპროცენტო რისკი, რადგან ერთხელ გამოშვებულ ფასიან ქაღალდზე რამდენიმე წელი იქნება ფიქსირებული კუპონი გადასახდელი.

ფასიანი ქაღალდები არა მარტო მთავრობისათვის, არამედ მთლიანად ეკონომიკის განვითარებისათვის დადებითი მოვლენაა. მთავრობის ფასიანი ქაღალდი წარმოადგენს ურისკო აქტივს, რაც აუცილებელია შემოსავლიანობის მრუდის ჩამოყალიბებისათვის, რაც აუცილებელია ფინანსური სექტორის გასავითარებლად. იგი ხელს უწყობს სა-

ბანკო სექტორის პორტფელის რისკის დაბალანსებას და ლიკვიდობის მართვას; შეიძლება გამოყენებულ იქნას გირაოდ ბანკების მიერ.

თანდათანობით სახაზინო ვალდებულებების პოპულარიზაციის შედეგად განვითარდება ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი. მოსალოდნელია მოსახლეობიდან მოთხოვნის ზრდა ურისკო აქტივზე, რაც ხელს უწყობს საშუალოვადიანი ლარის დანაზოგების შექმნას.

სახაზინო ვალდებულებების ბაზრის განვითარება ეროვნული ბანკის ინტერესებშიც შედის. ზემოთ აღნიშნული შემოსავლიანობის მრუდი ხელს შეუწყობს ბანკებს მოკლევადიანი რესურსი გადააქციონ გრძელვადიან რესურსად, რაც გაზრდის ლარით გრძელვადიან დაკრედიტებას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას. საბოლოო ჯამში იზრდება ლარით დაკრედიტება. გაცილებით ეფექტიანი ხდება მონეტარული პოლიტიკა. შემოსავლიანობის მრუდი ხელს უწყობს მონეტარული ინსტრუმენტების გადაცემის მექანიზმის ამოქმედებას. ანუ რეფინანსირების 1 კვირიანი განაკვეთი გადაეცემა 1 წლიანს, 2 წლიანს და შესაბამისად სებ—ის პოლიტიკის განაკვეთით შესაძლებელი იქნება მოქმედება საშუალოვადიან და გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სესხის საგარეო წყაროებთან შედარებით ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული სახაზინო ვალდებულები მრავალი უპირატესობის მატარებელია როგორც მთავრობისათვის, ასევე საბანკო სექტორის, მონეტარული პოლიტიკის, მოსახლეობისათვის და ზოგადად ეკონომიკისათვის. საქართველოს მთავრობა 2005 წლამდეც უშვებდა სახაზინო ვალდებულებებს, რაც არასწორი მენეჯმენტის, თუ პოპულისტური სპეკულაციების ზენოლით შეწყდა. იმედს ვიტოვებთ, რომ მსგავსი შეცდომა აღარ განმეორდება და 2009 წელს დაწყებული სახაზინო ვალდებულებების ემისიით საფუძველი ჩაეყარა ფასიანი ქაღალდების განვითარების შეუქცევად პროცესს.

3. ინფლაციის პროგნოზი

ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს ორ მეთოდოლოგიას: ერთი მხრივ, ბანკი აკვირდება სამომხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქციის ინდექსებს და გარკვეული დაშვებებისა და პროგნოზების საფუძველზე ითვლის საპროგნოზო ინფლაციას, მეორე მხრივ კი ბანკი ეყრდნობა ინფლაციის დინამიკის ეკონომეტრიკულ მოდელებს.

მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს სამომხმარებლო კალათისათვის ზოგიერთ მნიშვნელოვან პროდუქტიაზე მსოფლიო ფასების მოსალოდნელ დინამიკას. ინფლაციის დინამიკას 2010 წლის განმავლობაში ძირითადად სურსათზე ფასების ცვლილება განსაზღვრავს. ხორბალზე მოსალოდნელია ფასების გარკვეული ზრდა. ხილ-ბოსტნეულზე და რძის პროდუქტებზე ფასების დინამიკის პროგნოზი გაკეთდა სეზონურობის გათვალისწინებით. ინფლაციის პროგნოზისათვის გამოყენებული დაშვების შესაბამისად ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადის ცვლილება 2010 წელს ნავთობპროდუქტებზე ფასების დინამიკასთან შესაბამისობაში იქნება, არსებული პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ ნავთობის ფასი მიმდინარე წელს ბარელზე 80 აშშ დოლარის ფარგლებში იმერყევებს. პროგნოზისათვის გამოყენებულია დაშვება, რომ მომავალი წლის განმავლობაში რეგულირებადი ფასები უცვლელად შენარჩუნდება. უცვლელი იქნება აგრეთვე მზესუმზირის ზეთის ფასი. 2010 წლის მეოთხე კვარტალში წლიურ ინფლაციას აღარ განსაზღვრავს გასულ წელს სექტემბერში სწავლის გადასახადის ერთჯერადად გაძვირების ეფექტი. სამომხმარებლო კალათის სხვა ჯგუფების ფასების დინამიკის პროგნოზირებისათვის გამოყენებულ იქნა არსებული


ინფორმაცია ეკონომიკის შესაბამის სექტორზე მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ. აღნიშნული მეთოდით ინფლაციის პროგნოზი გვიჩვენებს, რომ 2010 წლის პირველი კვარტალის ბოლოსათვის ინფლაცია 4.5 პროცენტამდე გაიზრდება, ივნისის ბოლოსათვის ინფლაცია 1.5 პროცენტამდე შემცირდება, თუმცა შემდგომ პერიოდში მოსალოდნელია ინფლაციის მაჩვენებლის მცირედით ზრდა წლის ბოლოს 2.7 პროცენტამდე.

აღსანიშნავია, რომ ინფლაციის პროგნოზი შემცირდა დეკემბრის პროგნოზთან შედარებით – 1.3 პროცენტული პუნქტით.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მეთოდით გაანგარიშებული ინფლაციის პროგნოზი მიზანშეწინილია ნახევარწლიანი ჰორიზონტისთვის, რადგან უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის პროგნოზი კარგავს სიზუსტეს.

ეკონომეტრიკული მეთოდით ინფლაციის პროგნოზირებისათვის განახლებულ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

ბრაზიკი 3.1
წლიური ინფლაციის პროგნოზი



$$\delta p = 0,103\delta e_{-2} - 0,063\delta e_{-4} + 0,046\delta m_{-1} + 0,039\delta m_{-2} - 0,016\delta m_{-3} + 0,007\delta p^{oil}_{-1} + 0,087\delta p^{food}_{-1} - 0,019ecm;$$

სადაც:

P არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი;

m – ფულის მასა;

e – გაცვლითი კურსი ლარი/აშშ დოლართან;

P^{oil} – ნავთობის საშუალო ფასი მსოფლიოში;

P^{food} – ხილ-ბოსტნეულის ფასი;

ecm – გრძელვადიანი წონასწორობის აღმწერი ცვლადია და მას შემდეგი სახე აქვს:

$$ecm = p_{-1} - 0,42e_{-1} - 0,58m_{-1} + 0,79y_{-1} - 5,84$$

ხოლო:

Y – მთლიანი შიდა პროდუქტია.

განტოლებაში, აგრეთვე, შედის სეზონური და გადაგვარებული ცვლადები განსაზღვრული სეზონურობისა და სტრუქტურული ცვლილებების აღსაწერად;

მოდელში შემავალი ამხსნელი ცვლადების სამომავლო მნიშვნელობების შესახებ შემდეგი დამოკიდებულებები გავაკეთეთ:

☐ ფართო ფული უცხოური ანაბრების გარეშე მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლოსათვის 0.3 პროცენტით, ხოლო წლის ბოლოსთვის 19.3 პროცენტით გაიზრდება;

☐ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური წლიური ზრდა 4.6 პროცენტს გაუტოლდება;

☐ ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან არ შეიცვლება;


☐ ხილ-ბოსტნეულის ფასები გაიზრდება გასული წლის ტენდენციის შესაბამისად, სეზონურობის გათვალისწინებით;

☐ ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე არ მოიმატებს და ერთი ბარელის ღირებულება პირველ კვარტალში საშუალოდ 73 დოლარი იქნება;

შეფასებულის მოდელის შედეგად მიღებულ წლიური ინფლაციის პროგნოზს შემდეგი სახე აქვს (გრაფიკი 3.2).

მიღებული შედეგის მიხედვით, წლიური ინფლაცია მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის 10 პროცენტის ალბათობით 3.05 პროცენტიდან 3.59 პროცენტამდე შეიცვლება.

გრაფიკი 3.2
საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზი



4. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება

2009 წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სამი სხდომა ჩატარდა. ოქტომბერსა და დეკემბერში ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი არ შეუცვლია, ხოლო ნოემბერში 6 პროცენტიდან 5 პროცენტამდე შეამცირა.

პერიოდის განმავლობაში გაკეთებული პროგნოზების მიხედვით 2009 წლის ინფლაცია წლის ბოლოს 3-4 პროცენტის, ხოლო 2010 წლის განმავლობაში სამიზნე მაჩვენებლის, 6 პროცენტის, ფარგლებში უნდა ყოფილიყო.

კვარტალის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების შესახებ პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციები, როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების ისე საერთაშორისო ეკონომიკის შესახებ ცვლიდა და აბალანსებდა ერთმანეთს. ეს ეხება კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლებს, ბანკთაშორის ბაზარს, რეალური სექტორის განვითარებას, საგარეო ვაჭრობის მონაცემებს, ეკონომიკის დაკრედიტებას, სხვა ქვეყნების ეკონომიკის განვითარებასა და ამ ქვეყნების მთავრობების მიერ გატარებულ მონეტარულ პოლიტიკას.

აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს არ გააჩნდა სერიოზული მიზეზები მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების ან გამკაცრებისათვის. ამასთან, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი აცნობიერებდა გადაცემის მექანიზმის შესუსტებას. გადაცემის მექანიზმის მხარდასაჭერად ეროვნულმა ბანკმა ერთი მხრივ შეამცირა მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი, ხოლო მეორე მხრივ გაააქტიურა სადეპოზიტო სერთიფიკატებით ჭარბი ლიკვიდობის ამოღების ოპერაციები. ჭარბი ლიკვიდობის ამოღება როგორც ბანკთაშორის ბაზარზე, ასევე ეროვნული ბანკიდან კომერციული ბანკების მიერ სესხების აქტიურად გამოყენების ხელშესაწყობად მოხდა.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი აცნობიერებდა, რომ მიუხედავად მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის დროებითი არააქტუალობისა, ეროვნული ბანკის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს ამოცანას მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ამუშავება წარმოადგენდა. გარდა ხსენებული, უკვე გადადგმული ნაბიჯებისა, დაიგეგმა ღონისძიებების მომზადება, რომლებიც ხელს შეუწყობდა მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ამუშავებას.

საქართველო, თბილისი 0105, ლეონიძის ქ. 3/5
ტელ.: 44 24 88; ფაქსი: 44 25 77;
ელ-ფოსტა: Info@nbg.ge; www.nbg.ge